

მეცემსი

1885-1886

მწველსი დამატებით გამოდის თვეში ხუთჯერ, ყოველი თვის ათს, ოცს და ოც-და-ათ წიგნებში.

ჩვენი წარმაც პატივით და პატივით და პატივით

საუბრალოდ.

მხოლოდ ერთ შრომას შეუძლია აღადგინოს ზარმაცი კაცის პატივი, ღირსება და შესაფერი ადგილი მისცეს მას იმ საზოგადოებაში, რომელშიაც ის ცხოვრობს. შრომა შედეგია ჩვენი ცოდვისა, მაგრამ ეს შრომა გვიფარავს ჩვენ ცუდი საქმეებისაგან, როცა კაცი შრომობს და უსარგებლოდ ერთ წამსაც არ ჰკარგავს, მაშინ ამ გვარ კაცს აღარ რჩება დრო, რომ მიეცეს გაფანტულ და უქმ ცხოვრებას. მართი სიტყვით შრომა არ გვაძლევს ნებას, რომ ჩვენი სხეულის უკანონო და ჩვენი სულის მანებელ ლტოლვილებს გაეჰყვეთ და მხოლოდ მას ვემსახუროთ. შრომა გვაშორებს ჩვენ ისეთ საზოგადოებასთან დამოკიდებულებას, რომლის წევრთა დედა აზრი არის უსაქმობა, — ისეთ საზოგადოებასთან რომლის წევრიც ცუდ უბრალოდ ლაზღანდრობაში ატარებენ დროს და მიზნად აქვს, რომ ვინმე შეაცდინონ და გადახევეინონ ჭეშმარიტი გზიდან. როდესაც კაცი მეცადინობს, რომ თავის გონებას და ძალას ყოველთვის საქმე აუჩინოს, მაშინ ამ კაცის გულში და სულში ყოველივე ბიწიერებისადმი მიდრეკილებას ადგილი ესპობა. შრომა არა თუ მხოლოდ სძლევს ყოველივე ბოროტებას, არამედ ნებასაც არ გვაძლევს ჩვენ, რომ ბოროტებაზე ვიფიქროთ. შრომა თვით დასაწყისშივე სპობს ყოველივე ბოროტებას. ამ გვარად შრომა გვიფარავს ჩვენ ცუდი საქმეებისაგან, ხოლო უსაქმობა დედა არის ყოველივე ბოროტებისა და ცუდი საქმეებისა. ეს ისეთი ჭეშმარიტება არის, რომ-

ლის წინააღმდეგ სიტყვის თქმაც არ შეიძლება. ღღეს ისე დაცემულია ჩვენში ზნეობა, რომ იშვიათ ოჯახს შეხედებით, სადაც ცოლ-ქმართ შუა არსებობდეს სრული თანხმობა და ისინი სტკებოდენ მშვიდობიანი ცხოვრებით. თუ შეხედებით ასეთ ოჯახებს, სადაც ცოლ-ქმართ შუა და სხვა წევრთა შორისა თანხმობა და მშვიდობა სუფევს, ისიც იმ ოჯახში, რომლის ყველა წევრი მუდამ შრომაში ატარებს თავის ცხოვრებას და რა არის მოსვენება, კიდევ არ იცის. როდესაც თვითველი წევრი საზოგადოებისა გამუდმივებით შრომობს და მხოლოდ მაშინ ეძლევა მოსვენებას, როცა შრომით დაღლილს სურს ძალღონე შეიკრიბოს, რომ მერე ისევ შეუდგეს შრომას, რასაკვირველია, ისეთ საზოგადოებაში ყველა წევრთა შორის პატიოსნური დამოკიდებულება იქნება და ადგილი არ ექნება ცუდ საქმეთა. თორემ ასეთ პატიოსნურ და მშვიდობიან ცხოვრებას როგორც ცოლ-ქმართ შუა, აგრეთვე ოჯახის სხვა წევრთა შორისა ძვირად შეხედებით იმ ოჯახებში, რომლებშიაც თვითველი წევრი უსაქმოდ ატარებს თავის ცხოვრებას და ისე მობეჭრება მას თავი, რომ არ იცის, თუ როგორ გაატაროს დანარჩენი დღენი თავის წუთიერი ცხოვრებისა. მართი სიტყვით უსაქმობას მოსდევს ყოველი გარყენილება. რომელ ოჯახშია ღღეს დაცული ცოლ-ქმართა შორის თანხმობა და საზოგადო მშვიდობიანობა? მკვი არ არის, რომ ამისთანა თანხმობას ცოლ-ქმართ შუა ვერ ჰპოვებთ ისეთ პირთა შორის, რომელნიც თვითონ არაფერს არ აკეთებენ, მხოლოდ იმაზე ფიქრობენ, თუ რას აკეთებენ სხვანი და მეცადინობენ შეჭკრიბონ სხვა-და-სხვა ჭორები და მერე აერცელონ საზოგადოებაში და ამით ჩამოაგდონ საზოგადოების წევრთა შორის შური და განხეთქილება. მართი ჰკითხეთ იმ საბრალო დედაკაცს, რომ-

მელმაც თავის ცხოვრების უმეტესი დღენი განვლო გარყვნილებაში, თუ რა იყო მისი ზნეობითად დაცემის მიზეზი და ვინ შეაძლინა ის? ის მაშინვე მოგიგებსთ თქვენ, რომ მისი გამრყენელი და ზნეობითად დამცემი იყო მისი უსაქმო ცხოვრება, რომლის გამოც ის ეძლეოდა თავის გულის თქმათა ზედგავლენას. ჰკითხეთ აგრეთვე აფაზას, რომელსაც მართლმსაჯულებამ დასჯა გაუჩინა, თუ რა იყო მიზეზი, რომ მან ცუდი საქმე ჩაიდინა? ისიც მაშინვე მოგიგებსთ, რომ ის ამ უბედურებამდის მიიყვანა უსაქმობამ და გაფანტულმა ცხოვრებამ. ასეთი კაცი პატარაობიდან უსაქმოდ ატარებს ცხოვრებას, ეს უსაქმობა აგდებს მას სიღარიბეში და ამ სიღარიბემ აიძულა ის, რომ ბოროტება ჩაედინა; ამ უსაქმობამ დაუახლოვა ეს კაცი გაფუჭებულ და ზნეობითად დაცემულ პირთა გროვას, რომლის ზედმოქმედებით გაიწვრთნა ეს კაცი ბოროტებაში და ამ ბოროტებამ მიიყვანა ის დასჯამდის.

აიღეთ თქვენ ოჯახის მამა, რომელიც უსაქმოდ ატარებს თავის ცხოვრებას. რა კაი ზედ გავლენა უნდა ჰქონდეს მას თავის შვილებზე? ამისთანა მამა თუმცა ერთის მხრით მეცადინობს, რომ შვილებს საქმე აუჩინოს, მაგრამ ამავე დროს ის თავისი უსაქმო ცხოვრებით, რომელსაც მთლად იმას ამდომებს, რომ რაიმე სიამოვნება მისცეს თავის გულის ცუდ ენებათა, ცუდად მოქმედებს თავის შვილებზე. ასეთი მამის შემხედვარე შვილები ყოველთვის იმას მეცადინობენ, რომ მიხადონ თავის მამას ცხოვრებაში. ასეთი მამის შვილები მართლ იმაზე ფიქრობენ, როდის გახდნენ ისინი თავისუფლები, რომ აღარ ემინოდესთ თავის მამისა, რომ თავი მიანებონ იმ საქმეს, რომელიც მათ აწვალებს და მერე თავის მამასავით მიეცნენ თავისუფალ და უსაქმო ცხოვრებას.

ჩვენს საქართველოს ყოველ კუთხეში ბლომად შეხვდებით ასეთ უსაქმო პირთა გროვას, მათი ძებნა საჭირო არ არის. ამისთანა პირებს უხვად ნახავთ ყოველს ოჯახში, თითოეულ სოფელში, ქალაქში და ყოველს ქუჩაზე და ყველაზე უფრო ბევრს ქალაქების ბაღებში და სხვა სასაირო ადგილებში. ამ ადგილებში თქვენ ხშირად ხვდებით მშვენიერ ყმაწვილებს, რომელნიც შემოქმედისაგან უხვად არიან დაჯილდოებულნი და რომელნიც დღითი-დღე დაეხეტებიან ბაღებში და თავს იწონებენ და მასთან მეცადინობენ, რომ სხვასაც მოაწონონ თავი. ეს პირნი თაყვანსა სცემენ უქმად ყოფნას, როდესაც მათ შე-

უძლიათ, რომ თავისი შრომით დიდი სარგებლობა მოუტანონ როგორც თავის თავს, აგრეთვე საზოგადოებასაც, მაგრამ ღეთისგან მინიჭებულ ნიქს და ძალას ისინი ცუდ უბრალოდ ხმარობენ. ისინი არა თუ თავისი შრომით არას სძენენ საზოგადოებას, არამედ თავიანთ მშობელთაგან დატოვებულ სიმდიდრესაც ცუდ უბრალოდ ფლანგვენ. ეს ყმაწვილები, რომ ასე ცუდად არ ატარებდნენ ცხოვრებას, ეფიქრობთ, რომ ისინი იქნებოდნენ იმედი ჩვენი სამშობლოსა და წყარო შემდეგ ღმერთა! მაგრამ დღეს რა იმედს უნდა მოველოდეთ მათგან? დღეს, როცა მათ შრომა შეუძლიათ, როცა მათ შეუძლიათ თავის გონების ძალა მოიხმარონ თავიანთ მოძმეთა სასიკეთოდ, უქმად არიან. მა რაღას უნდა მოველოდეთ მათგან შემდეგში, როცა ღონეც არ ექნებათ შრომისათვის, კიდევ რომ მოინდომონ შრომა. მაშინ კიდევ უფრო უბედურნი იქნებიან ისინი. შეიძლება მოხუცებულებად სულით და გულით მაინდომონ, რომ რაზე შეისწავლონ და გააკეთონ, მაგრამ მაშინ, როგორც ზემოთაც ვსთქვით, მათ ამ სწავლისთვის და შრომისთვის არ ექმნებათ საჭირო ღონე და ისევ იძულებულნი იქნებიან გაფანტულ ცხოვრებას მიეცნენ. იმ კაცში, რომელიც პატარაობიდანვე უქმად ატარებს ცხოვრებას, ეს უსაქმობა ისე მაგრად იღვამს ფესვს, რომ მერე მისი მოშლა შეუძლებელი ხდება. ამისთანა უქმად მყოფი პირების ცდა და სურვილი, რომ უქმად გატარებული დროება შემდეგში მაინც შეაყვანონ თავიანთი შრომით, ფუჭი ღარჩება. ასეთი პირები ღარწმუნებულნი უნდა იყვნენ, რომ ისინი შემდეგ დროებშიაც ვერ შეიძენენ იმ ცოდნას, რომელიც მათ დაუდევნელობისა გამო არ შეიძინეს თავის დროზე, როცა მათი სული და გონება იღვიძებდა და წვრთნას საჭიროებდა. მართი სიტყვით ჰეშმარიტება არის, რომ კაცმა თუ პატარაობა გაატარა ცუდ-უბრალოდ და გამოუსადეგად, ის შემდეგშიაც ასე უსაქმო ცხოვრებას უნდა მიეცეს.

25 სს

მოთხოვნა მუთაისზე.

(806—1860 წ.)

მუთაისი, უბირველესი ქალაქი მუთაისის გუბერნიისა, დაარსა 806 წელში მარსტეს შემდეგ აფხაზეთის მეფე ლეონ II-რემ პირდაპირ ყოფილის ძეგლი გამაგრებული ქალაქის უკიმეროვნისა; ეს ქალაქი შეიქმნა აფხაზეთის მეფეების სატახტო ქალაქად ნაცვლად ანაკოპიისა. 980 წელში, როდესაც აფხაზეთის მეფეები შეიქმნენ მთელი ეხლანდელი საქართველოს მბრძანებლად, მუთაისი გახდა ძლიერი ხელმწიფეების სატახტო ქალაქად. ბაგრატებმა III (980—1014) და II (1027—1072) არ დაშორეს შეძლება ამ ქალაქის გასამშვენებლად და აღაშენეს მასში მშვენიერი ტაძარი მზგავსად პატუდნისა და კარგი ჰაერის, სიმდიდრის და ბუნების სიმშვენიერისა გამო ამ ქალაქში ამჯობინებდნენ ცხოვრებას, ვინც უფლისციხეში, რომელიც, მის გამო რომ თბილისი ამ დროს იმყოფებოდა სარაკინების ხელში, ითვლებოდა სამეფო ტახტად. ბაგრატ IV-ის შვილის ბიორგი II მეფობის დროს (1072—1089) თათრებმა—სელდჟუკებმა გაცარცვეს და დასწვეს მუთაისი, ასე რომ ბიორგი II შვილი, დავით-აღმაშენებელი (1089—1125) თავდაპირველად იძულებული შეიქმნა აღმოერჩია თავის სატახტო ბინად თეატულის-თავი ლიხის მთის მახლობლად. მაგრამ დავითმა მალე გაამშვენა მუთაისი, თუმცა კი თავისი ტახტი გადიტანა თბილისში, რომელიც წაართვა სარაკინებს. შესანიშნავი თამარის დროს (1184—1212) მუთაისი მთელი საქართველოს ყველა ქალაქებზე უბირველესი იყო, და ამიტომ, თუმცა თამარმა გვირგვინი იკურთხა თბილისში, მაგრამ მუთაისის არქივისკოპოსმა ანტონიმ მიართვა მას გვირგვინი, ხოლო მუთაისის წარჩინებულმა აზნაურობამ შემოარტყა დედოფალს ხმალი. 1226 წელში მუთაისმა თავის კედლები შუა დამალა თამარის ქალი, დედოფალი რუსუდანი, რომელიც თბილისიდან გამოექცა ხორასნის სულთანის ღველამდლინის დევნას. 1259 წელში ჩვენი მუთაისი შეიქმნა სატახტო ქალაქად იმერეთის დამოუკიდებელი მეფის დავით ნარინისა (1259—1289), რომელიც იყო ძე რუსუდანისა; დავით ნარინს წინ აღუდგა ქაზაბერი, რაჭის მრისთავი, რომელმაც სთხოვა ზულავს, მონღოლის ხანს, ამ დროს საქართველოს მბრძანებელს,

ჯარი, რომელიც გადმოატარა ლიხის მთაზე და ჩამოიყვანა მუთაისში; მეფემ ძლიერ დაიფარა თავი გაქცევით, ხოლო მუთაისი აოხრებულ იქმნა ცეცხლით და ხლმით. მართი წლის შემდეგ თათრებმა კიდევ გაცარცვეს მუთაისი 1269 წელში. ქაზაბერმა ამისათვის მაილო შესაფერი სამაგიერო, მუთაისი კი გამაშვენიერებულ იქმნა მეფე დავით ნარინისაგან და მის დროს ეს ქალაქი კი მდგომარეობაში იყო. ბრწყინვალე ბიორგის დროს (1318—1346) მუთაისმა დაკარგა სატახტო ქალაქის სახელი დავით-ნარინის შთამამაგლობისათვის და შეერთებულ იქმნა მართლის სამეფოსთან. 1361 წელში მუთაისი დახწვეს აღმოსავლეთულმა სეანებმა, ხოლო 1393 წელში აღმოსავლეთის საშიშარმა დამლუხველმა ტამერლანმა ხელახლად გადასწვა მუთაისი.

1462 წლიდან მუთაისი შეიქმნა იმერეთის მეფეების სატახტო ქალაქად, მაგრამ ეს ქალიქი მალე ჩაეარდა დიდს უბედურებაში. 1512 წელში თათრებმა აიღეს ეს ქალაქი, გაცარცვეს და ქალაქის ყველა მცხოვრებლები, რომელთაც ქალაქიდან გაქცევა და მთებში დამალვა ვერ მოაწერეს, ტყვედ წაიყვანეს. მის შემდეგ რაც თათრებმა დაარსეს შოთი და სუხუმ-კალე 1578 წელში, მუთაისი კიდევ უფრო დიდ განაცდელში ჩაეარდა. იმერეთის სულთ მეფეებს, სულთანების სასახლეების დასამშვენებლად, უნდა ეგზავნათ სულთანებისათვის თავის სატახტო ქალაქიდან მონები ორივე სქესისა თავიანთი სამეფოს სახელობით, ხოლო ბერიის და აფხაზეთის ურჩი მრისთავები, სულთანის გულის მოსაგებად, ხშირად ეცემოდნენ ხოლმე მუთაისს და აოხრებდნენ მას, რის გამო მეფე ალექსანდრე III (1649—1661) იძულებული შეიქმნა მიტოვებულიყო რუსეთის მეფის ალექსი მიხაილისძისადმი და ეთხოვა მათთვის შემწეობა, რის გამო მთელი სამღვდლოებით და ერის კაცებით მისცა ამ მეფეს ქვეშევრდომობაზე ფიცი. ამ უბედურების დროს განათლება დაეცა, მიწის მუშაობა შეფერხდა. მცხოვრებნი იძულებულნი შეიქმნენ დაეტოვებიათ მშვენიერი ბაღები რიონის ქალისა და ამათ ნაცვლად აერჩიათ საცხოვრებლად მივარდნილი ტყეები და ღელეები.

ალექსანდრე IV მეფობის დროს (1683—1696) ახალციხის თათრებმა 1691 წელში დაიპყრეს მუთაისი და ციხე, დაანგრეს ტაძარი, ბაგრატებისაგან აგებული და წაიღეს ახალციხეში ეკლესიის ყოველივე ძვირფასეულები, — მოზაიკის და მარმარილოსი,

არ ღარჩენილა ნიშანიც. ამ ტაძრის სიმიდირის და იშვიათი სანახაფი ნივთების მაგიერ ღარჩა უმზგავსო გროვა ღანგრეული ჩუქურთმების და ქვებისა. მცხოვრებლები ზოგი ღახოცილ იქმნენ და ზოგი ტყვედ წაიყვანეს. ალექსანდრეს შვილის ბიორგი VI ღროს (1707—1721), მეგრელები თათრებთან ერთ-თად მუღამ ეცემოღწენ იმერეთს და აზრებდწენ ჭუთაისში ყოველივე იმას, რისიც გაკეთება მოასწრეს ბიორგი IV-ის და ბიორგი V ღროს (1696—1707). ორ-გზის ბიორგი VI ღამოაღდეს ტახტიღამ. ბიორგიც მეცადინოზდა, რომ ტახტი ღაღბრუნებია უკანვე, მაგრამ რადღან შეძღება არა ჭქონღდა, ამიტომ სთხოვღდა შემწეობას ღან თათრებს და ღან სპარსელებს და ამ ფრად თავის სამფლობელოში შემოჭყაეღდა სხეა ღალბთა გროვები თავის სამეფოის ასაკლებად. მს იყო მიზეზი, რომ ღალბი უკმაყოფილოდ იყო ბიორგი VI და ბოლოს კიღეც მოჭკლეს ის. მეფე ალექსანდრე V (1721—1752), რომელიც უკმაყოფილო ქვეშევრ-ღომებთაღან ღამოაღდებული იქმნა ტახტისაღან და რომელმაც თათრების შემწეობით ღელ-აზღავე ღაიღღო ღელში ტახტი, ნება მისცა თათრებს, რომ იმერეთში ღამკვიღრებულ იყვნენ და ღაეკავებიით მასში ყველა ციხეები და მათ რიცხვში ჭუთაისიც. თათრების ღამ-კვიღრების შემღღე იმერეთს ღაუღღა გამოუთქმელი უბედურების ღანა. ღალბა მთლად ღაღღანაკღდა და ღწეობითად ღაეცა: სიცრუე, ბოროტება, სარწმუ-ნოების ღალატი ღეეულებრივე მოვლენად შეიქმნენ. 1740 წელში ღანგრეული ტაძარი ბაგრატების თათრებმა ოოფზანად (არსენალი) გაღააქციეს.

რომ თათრების მფლობელობა მოესპო ჭუთაის-ში და საზოგადოდ იმერეთში, მეფე სოლომონ I (1752—1782) მიიქცა შემწეობისათვის მკატირინე II იმ ღროს, როცა მკატირინემ გამოუტყბაღდა ომი სა-თათრეთს. რუსის გენერალი ტოტლებენი 1712 წელში 1200 ქვეითი ჯარით და ოთხი პატარა ზარ-ბაზნით მოვიღა იმერეთში და 1773 წელში ჭუთაი-სის ციხე განათავისუფლა თათრებისაღან. თათრე-ბი შეუპოვრად იბრძოღწენ იმერეთის ამ წარჩინებუ-ლი აღგილისათვის. ბენერალ-ტოტლებენმა საჭიროდ ღაინახა ყუმბარაება ღაეშინა ციხისათვის, აიღო ციხე და მის შემღღე იმერეთის ყველა სიმაგრეები გასწმინ-ღდა თათრებისაღან. ამის შემღღე ჭუთაისი ცოტას ღწეობით სტკებოღდა მოსვენებით, მაგრამ ეს მოსვენე-ბაც მას ღიღზანს არ შერჩენია. 1782 წლიღამ 1799 წლამღე ჭუთაისი ისევე ღაეზარღა უბედურებაში, რო-

რომელიც გამოიწვია ტახტის მეძიებლობამ და ეს უბედურობა მით უმეტეს სამძიმო იყო, რომ ტახტის მეძიებელთა განზეთქილების ღროს თათრები ისევე ღამოერიენ და მათ გარღა სისხლის-მსმელი ღეკებიც მონაწილეობას იღებდწენ.

ღაბოლოს, 1810 წელში ჭუთაისი შერიცხულ იქმნა რუსეთის ქალაქების რიცხვში და თან-ღა-თან აზღდებოღდა თავის ღამგრეულ მღგომარეობისაღან.

(გაგრძელება იქნება).

ს ო ხ უ მ ი ღ ა მ.

მცხოვრებნი სოხუმისა და აქ მომსე-ლელნი აქამომღე ეტრფიღებოღწენ სოხუმის მშე-ნიერ და კეკლუც ბუნებასა, და არაღის არ ეგონა, რომ მახლობლივე ღვენის ქალაქისა ოც-ღა-ათ ევრს-ზეღ—წ ე ბ ე ლ შ ი: ოზღად სღგას ძველნი ტაძრები, მღიღარნი ძველის ნივთებითა. ამ ნივთების პოვნამ და განზიღვამ მოგეცა საფუძველი მსჯელობისა, რომ აფზაზეთში ქრისტიანობა მტკიცე ფეზზეღ მღგარა და ქართველებს ღიღი გავლენა ჭქონიათ აფზაზეზზეღ. პა-ტიეცემულთ მკითხველთ ეცოღინებათ გაზეთებიღგან, რომ წებელში აღმოსწნღა ძველი ღატები წმიღა მკა-ტირინისა, წმიღა ბიორგისა, წმიღა თეოღორესი და მატხოვრისა. ზეღ წარწერიღნი სიტყვანი ამ ღატე-ზეღ არიან ქართულნი ღუტურის ასოებით ღაწერილ-ნი. მაწასაღამე, უნღა ღაერწმუნღეთ, რომ ოღდსმე აქ ქართულ წირეა-ლოცვას ჭყოღია მსმენელნი. მრ-თად ამ ღატებთან ეწყწენ სხეა-ღა-სხეა სპილენძის ნივ-თნი, რომელნიც ამტკიცებენ წარმართების გავლენა-საც აფზაზეზზეღ, მაგრამ ვინც იცის აფზაზეთის ისტო-რია და უმეტესს ღიოსკურიისა (სოხუმს ძველად ეძახ-დწენ ბერძნები „ღიოსკურიას“), არ გაჭკვირღება ქრისტიანულ და წარმართულ ღელოვენების შვერთე-ბის გამო. სხეა-ღა-სხეა საუკუნეებში აქ სტხოვრობ-დწენ ეგვიპტელები, ბერძნები, რომაელები, თათრები, ქართველები, ამისათვის საკვირველი არ არის, რომ ერთსა-ღა-იმავე აღგილზეღ არიან ღარჩენილნი სხეა-ღა-სხეა გვარნი ძველნი და სახსოვარნი მათის საქმი-სა და მოღვაწეობისა.

ჩვენმა არზეოლოგმა ბატონმა ღიმიტრი ბაქრა-ძემ, რომელმაც განიხიღა ერცლად მოხსენებულნი

ძველნი ნიფთნი, ნაპოვნი წებელში, ღაგვიმტყიცა, რომ წარწერანი ხატებზედ ეკუთვნის მეთერთმეტე საუკუნეს. ბარდა ამისა ბ-მა ბაქრაძემ გვაჩვენა ის შესანიშნავი სპილენძის ჯვარი, რომელიც მან იპოვნა წებელში. ამ წებელში ეხლა სცხოვრებს გაზეთის „Кавказ“ ის რედაქტორად ნამყოფი ბ-ნი მორონოვი. მორონოვის მახლობლად სდგას ძველი ტაძარი და ამ ტაძარში აღმოსჩნდა კიდევ შესანიშნავი ქვები სხვა-და-სხვა გამოხატულებითა. ბაქრაძემ გვიაშოვა, რომ ამ ქვებ შორის ერთი უმეტესს შესანიშნავი არისო, და მასზედ პირველად გამოასახულია ჯვარცმა მაცხოვრისა, მარჯენი და მარცხენი მაცხოვრისა არიანო ჯვარცმულნი ორნი ავაზაკნი. შემდეგ — ღვთის მშობელი თავის მხოლოდ შობილის ძით; გარდა ამისა იოანე ნათლის მცემელი და ნათლის-ღება იესო ქრისტესი, რომლისკენაც მიმართულია საკურთხეველად ხელი მამა ღვთისა. მეორეს მხრით შესანიშნავი არის მხატვრობა მამლისა. ეს მამალი მკაცრად უყურებს მოციქულს პეტრეს, რომელიც ხელებით პირს იფარებს, რომ არ დაინახოს მამხილებელი თვალები მამლისა. ამას გვერდით არის მხატვრობა პეტრე მოციქულის ჯვარცმისა. მოციქული თავით არის მიკრული ჯვარზედ ქვევით და ფეხებით ზევით; ამათ ქვევით არის სახე ვეშაპისა, რომელსაც გადაუყლაპავს ადამიანი წელამდინ. ბარდა ამისა არის დახატული ერთი ღიღებული ვაჟ-კაცი, მჯდომარე მშვენიერ ცხენზედ, ეს ვაჟ-კაცი მისდევს ირემსა, ირემის რქებზედ ზის ერთი წმიდა კაცი და სცდილობს არ გაუშვას. ცხენი არის შეგმაზული უნაგირითა და სხვა-და-სხვა მორთულობითა, რომელიც ძველ დროს იცოდნენ და ახლაც იშვიათად, ათასში ერთხელ შეიძლება ჰნახოს კაცმა. მეორე მხედარის სახეც არის, რომელიც აგრეთვე ზის მშვენიერ ცხენზედა. დასასრულ, ჩვენ ყურადღებას იზიდავს გამოხატულობა არქიერისა თავის შესამოსელით. არქიერს გვერდს უდგა საცეცხლოურიითურთ ერთი მთავარი.

იმედი არის, რომ ბ-ნი ბაქრაძე უფრო ვრცლად და უმჯობესად ასწერავს ამ ნივთებს და ამით გაამდიდრებს ჩვენს სხვა-და-სხვა გვარ ცნობას...

(ივერია.)

წმიდა მოწამე

ვნახე მოწამე, სანამ დასტანჯდნენ, გულზედ ეკიდა მას ქრისტეს ჯვარი, და მოისმოდა მისი პირისგან უარი მხოლოდ, მხოლოდ უარი: „გინდა ეხლავე გისერი მომჭრან, სხეული გახდეს სათრეველად, თუნდა ეხლავე ცეცხლში ჩამაგდონ დასადაგველად, დასაწველად, რაც უნდა მიუონ, მაინც არ დავსთმობ მე ჩემს ჭეშმარიტ სარწმუნოებას, თუმცა ვიცი, რომ ჩემი სხეული ამისთვის ბევრსა მიიღებს ვნებას. არ შეიძლება, რომ მე უარ-ვკუო იესო, ჩვენთვის ჯვარზედა-ცმული, მივიღო მე სხვა სარწმუნოება, ბილწით, სიცრუვით მთლად ადვსებული ძლიერ ცუდია, როდესაც კაცი ნათელს დასტოვებს, მიიღებს ბნელსა და სიმაართლესა არ ანაცვალეს თავის საკუთარს ის სიცოცხლესა! სანამდის მე თქვენ დამატუყვებდით, მტრებთან ვიბრძოდი თავ-განწირული, ამას ითხოვდა სარწმუნოება და საყვარელი ჩემი მამული. მზადა ვარ, ვამბობ, არ მეშინია, სასჯელს მიმეცით, მიმეცით ჩქარა; არ დავსთმობ მე ჩემ სარწმუნოებას, რაც გინდა მიუთ, არა და არა!“ უსჯულო ხალხი ამ მოწამეზედ ძლიერ სასტიკად განრისხდებოდა, მაგრამ მოწამეს იმისი რისხვით თავის კლდე გული არ უდრებოდა. იგი მოწამე თავისი აზრით ზენარსისაგან ემურვებოდა, და წმიდათ შორის ღვთის სავანეში მას დამკვიდრება ესურვებოდა.

ილ. ფერაძე.

ა ლ ლ უ ზ ი ა ნ ი.

(ბიბლიოგრაფიული შენიშვნა.)

აღლუზიანი, ამბობს გამომცემელი, წარმადგენს იშვიათს და განსაკუთრებით მაგალითს ქართულ ზოგ-ტიკურ ლიტერატურაში. ამას საგნათ აქვს აზა თუ და-მაღული ან დახული სხვა თერადებათა შინა (?) სიუ-ვარული და განუტყდავი ანუ აუხსნელი მოქმედება; ხო-ლო (თუ აზამედ?) ეს აზის სრული თვისი მნიშვნელო-ბით ეპიურის ზოგმა, რომელიცა გადმოგვცემს ისტო-რიულ მოთხრობას, ე. ი. უცნობ ქართულ მატანეთა-თვის მამაცობას აღლუზიანისას (თითქო აღლუზიანის მამაცობის მოთხრობა ქართულ ჯერეთ უცნობ მატანე-ბისთვის იუოს დანიშნულია). ამ ზოგმას ვებუჯავთ, რომელიც ისტორიულ მასალას, ზოგმას აქვს დიდი მნი-შვნელობა საქართველოს ზოგტიკური ლიტერატურისა-თვის, იგი „გვგონებ, აზის დაწერილი მოკლე ქმრისა-გან თამარ დედოფლისა“. საქმეში „ამ ზოგით დაუ-ტეცა თავისი განათლება“ თამარს.

ზოგმა იწყება ზენარ აზისადავად მამართვით: (გვ. 34) შემდეგ მწერალი უჩვენებს: თსუფლების მიზანს, რომელსაც ამბობს: „ხელ-გჭყო აღწერად, ვისგან ვართ შთამომავალი, ვინ ვითარი გასწია მხნეობა (გვ. 4)“, და იწყობს მოთხრობას:

ხისაგან დავით მეფისა მოწედა ჭრთ, ქაჩმა გა-დიტანა ის და დარგო ზღვის ზარს, ისაჩა; აღმოცენდა, გარნა დრომ დასტა, მის მიწხედ ვიდევ დარჩა ჭრთ; აღოცმინდა; დასჯდა ტასტს; შეიქმნა მეფე (4—6 გვ.).

აღლუგორობა იქით იუოს: იესოვან დავითიან გვა-რიდგან იუვენე პენი და მათგან ჩვენ ამ გვარად გამო-ვედით: ავგუსტ კეისარ ბერძნისაგან გამოვიდნენ პენი, ერთი იმთგანი—აღლუზონ—შემოსწერა მამას: აღლუ-ზონს კესარ-ხანი ქალს ამლეკდა და, თუმცა მამა უარობ-და, ის მანტ აჩ იშლიდა; მამამ დასაჯა ის და წაართვა მეძვიდრობა. აღლუზონმა მოიტაცა ხანის ქალი. შეუ-ტეეს, მოეწივნენ. გაუფრტეს ჯარსი. შეუტევა აღლუზონ-მა—გააქცია; ამოწეიტა. ძლეულმა ხანმა სიძელ სთქვა აღლუზონი და სთხოვა დაბრუნებულყოფა, მაგრამ ის არ დადგა. წამოვიდა მთა-მთა, მოვიდა ჩერქესეთს, დაიპყვი-დრა ჩერქესეთის მეფობა (გვ. 5—8).

გაიგეს ეს ჩეხნებმა და ნოინებმა და გამოუტყა-დეს ომი. გამოვიდა ნოინთ ჯარსი ომად, აღლუზონს შეუერთა რაზმი, მაგრამ იმან მარტო თვითონ ხელ-

ჯყო ომს და შეაფრთხლა მტერი: ნოინთ ჯარის წინა რაზმი დაიშალა. მოუხდა აღლუზონს ოთხი გმირი ახა-ლი ჯარებით, მეფემ იმათაც სძლია. ახლა თვით ნოინთ მეფე გაემართა აღლუზისაკენ სამოძად. შეიბნენ, ნოინმა სტა ლასტი—აყდინა; დაუქნია გურობი—მოწას მოარტ-ვა; დაუქნია ხმალი—ცხენი გაუყვითა. აღლუზს სხვა ცხენი მოჰგვარეს. ნოინმა შესტეოვრა ისარი—მეფე ცხენ ქვეშ მოექცა. ახლა აღლუზმა დაუქნია ხმალი და ორ-ორ ნაკვად აქცია ნოინი და მისი ცხენი.

მოუხდა მეფეს ახლა ჩეხნთ მთავარი განარ. შეიქმ-ნა ბრძოლა. ბრძოლაში აღლუზს ცერი შესჭრეს. გაი-ნარჩი ესლა მარტო გავიდა აღლუზთან საბრძოლველად, მაგრამ უგანასკნელმა ნოინთ მეფის ბედი სწვივა. გამარ-ჯვებული აღლუზი შებრძნდა ჩეხნში, სადაც იმას მოე-გება დედოფალი და გამოსთხოვა ქმრის გავი. მეფემ მისცა ნება, იტირეს მკვდარი და დასაფლავეს მეფურად. აღლუზმა ჩეხნში თავის გაცი დააყენა გამგებლად და წავიდა ნოინთ ქვეყანაში. ნოინნი მიეკებნენ და მიიწვიეს სატასტო დარბაზში დიდი მეჯლისი გადისადეს. მეფემ აქც თავის გაცი დააყენა გამგებლად და დაბრუნდა შინ. გამართა ნადიმი (გვ. 8—31).

ნადიმზედვე მოვიდა მოუმე ვინმე, დაცვა მეფის წინ და შესტირა: ამოსართ მეფის ემა ასლან გამგე-ლი ვარ, მეფეს შემსმინეს და ის სიკვდილს დამქადა. გამოვიქცე ჩემს ქალაქ გოჩანდაში. შევკრიბე სამთავრო მეფის წინააღმდეგ. მეფემ განაზრახა ჩემი ძმები; ისინი შემომეტყუერნენ და მილაპტეს: მე აქეთ გამოვიქცე. გამგეველმა შეპოვიდა ერთგულობაზედ და აღლუზონმა შეიწინა ის. ერთხელ ვიდევ დაუმტეცა ერთგულობა: მეფემ მიწხა-ხანს მტრობა განუცხადა. ხანმა მოინდომა აღლუზის მოგვლა გერგობით და მიუტყაუნა ამ მიზნით გაცი. გამგეველმა უგრძნო და მოკლა მიგზავნილი (გვ. 31—35).

მეფეს მოართვეს ამოსრის წერილი. ამოსარი აღ-ლუზს ომს უცხადებდა გამგეველის შეთარებისთვის. აღლუზმა მიიღო გამოწვევა. მოვიდა, ურჩიცხა ჯარსი ამოსრისა. შეიქმნა ომი, რომელიც აღლუზის და ამო-სართ მეფის შიკის-შით ბრძოლით გათავდა: აღლუზმა გაკვეთა აღისვანტარი. ძლეულთ გამოითხოვეს მეფის გავი. აღლუზმა ბრძანა მკვდრის წადება და თითონაც თან გაჰყვა. დაქვრივებულმა დედოფალმა აცნობა თავის უბედურება მუღს—მილანქრის მეფეს. შეჰქმნეს გლოვა და ტირილი. აღლუზმა არ დაინებია ეს ქვეყანა; მხო-ლოდ გამგეველს დაუბრუნა გოჩანდის მთავრობა. დაბ-რუნდა, გასაყდ ისარეს მის შეიბნევა. მოვიდა შინ ად დიდი მეჯლისი გამართა (გვ. 35—50).



ერთსელ აღდუზონმა ირება თავის ქვეყნების დასკ-
და; მიჰმართა ამოსასვლელს, აქ გოჭანდის მთავარი ამაუდ
დაუსვდა აღდუზს. განისხიდა მეფე და, გაიგო რა
მთავრის მრავალი ავაზაკობა, ბრძანა მისი დასწრება.
გამგეგმულმა მოისყიდა კარის მცველები და მუსთლად
მოკლა მეფე. აღდუზ წასვლას შინ და იქ დედოფალიც
მწუსრებით ზედ დააკვდა იმას (გვ. 50—57).

ეს არის მართლად შინაარსი ზოემისა. ზოემასში
არის აწერილი რამდენიმე ბრძოლა, რომლებიც უკვლავ
ერთნაირად იწეება, ერთგვარად მიმდინარეობს, ერთნაი-
რად თავდება; მხოლოდ მეზომოლთ სასკელები იცვლე-
ბიან კერძოთ: საბრძოლველად გამოწვევა, ბრძოლა,
მეზომოლის მოკვლა, ტირილი, დამარცხვა, მძლეულის გან-
კარგულობა ძლევის შემდეგ, მეკლასი — თითქმის ერთის
და იმავე სიტუვებით არიან აწერილი. ესრე: ავტორი
ერთსა და იმავე საგანს, ერთსა და იმავე ჰინგს რამდენ-
ჯერმე იმეორებს ერთგვარად ერთსა და იმავე თხზულე-
ბაში. ეს ძრეულ თავს აბეზრებს მკითხველს. ამ რამების
გარდა ზოემასში აწერილია მხოლოდ ვიღაც გამგეგმელის
რჩევრ ღალატი და კერაკობა მის კეთილის-მოაფელთან-
მი. ზოემიდან მხოლოდ ერთი ისტორიული ჭეშმარიტე-
ბა შეიძლება გამოიყვანოთ: მთის ხალხს ერთმანეთში
ბრძოლა ჰქონიათ, — ჭეშმარიტება, რომელიც უაღდუ-
ზიანოდაც ცხადია. აი მთელი „ისტორიული მასალა“,
რომელსაც იზერობს ზოემს, თუ ისტორიკოსი არ ისუჩ-
ვებს ზღაპრების შეტანას ისტორიაში.

მეკმე რაგორ არის მოთხრობილი ეს „მასალა!“
რომ ჩააკვირდეთ ზოემს, შეგეცოდებათ დამწერი; იტ-
ყვით: ნეტა რა ძალა ადგა იმ უბედურს, რომ ესე იწა-
მებდა თავს! უკვლა სტრიქონი გიჩვენებთ, რა ჭირის
ოფელს ასხვდა ავტორს, როდესაც ის სცდილობდა ლექ-
სისთვის დეკლანგებინა თავის ნაწერი. მისი ჩვეულებრი-
ვი ჰინგი: სტრიქონის ზარველ ნახევარში იტყვის, თუ
რამე ცოტა სათქმელი აქვს, მეორე ნახევარში კი მხო-
ლოდ იმას სცდილობს, როგორმე მოძებნოს რითმა,
თუნდა სიტყვები მთლად უარზოდაც იყვნენ მიმდგარნი.
რითმა? ოღონდ კი სიტყვა იმავე ასოებით თავდებადეს,
რომლებით თავდება წინა სტრიქონი, და ხმის შეწყო-
ბას, თანასწორობას, სიტყვა გაზომულობას, სიტყვის
დაუმსინჯელობას ვინდა დასდევს, დიად, ზოეტს, რა-
გორც თვითონვე ამბობს, „ენა ესაწყლება“ [გვ. 27]
და, კვანებ, ჰაზრიც. ნიმუშები:

„მაშინ ერთის დიდის მეფის ავდუსტ კეი-
სარ ბერძნისაგან
გამოვიდნენ მისნი ძენი — მშვენიერ მის ანოვ-
ნისაგან.

ერთის სახელი აღდუზონ ბრძენ — გმირი იყო
თვით ღვთისაგან
და სხვანი ძენი, მის მეფის მშვენი, იყვნენ
თვით ღვთისაგან (გვ. 61).

„შენ ხარო მეფე მბლავანი, ვითა ჭრატნი
ქონისანი?

მიიტროდეს ცეცხლის მსგავსად, მას ეცა შნო
ღონისანი,
პირსა ჯვარი დაისახა მსწრათულ მოიღო ხმა-
ლოსანი,
ორთა გულ-ზარისა ხმით თავი ჰბვეთა გიგო-
სანი (გვ. 13;)

„მერე ბრძანა აღდუზ მეფემ: სად არისო
ხმის ზურუნნი?
დაიბანაკოს აქ ჯარმა, კარავ ჰვინონ სამხი-
რულონი (გვ. 16;)

ოჰ ნეტარო პონვექილო, რათ დაეცო, ვითა
ქორი
ვაქატობით ვერვინ გჯობდა შორით გჰვეტ-
დენ (?), ვითა ღორი,
ახლოს კი ვერვინ მოგბედა, წიხლით გესროდ-
ნენ, ვით ჯორი“ (გვ. 18)

პოეტური შედარებებია, მა რა არის! და აი
ან რა ენა ტურთავდ უტირიან ქალები:

„ნეტა რა ჰასუხს ინებებთ, ვის მივეცნეთ
ქათბი წავათ
ვის გვაბარებ საუკუნოდ და ჩავვიცვას ზამთ-
რის ტყავად (გვ. 23).

რა ნიმუშებია! მთელი „ზოემს“ ამისთანა მასალი
გრძნობით, სელაგებით, შედარებებით, მჭერ-მეტყვე-
ლობით და ენა ნაწინარებით არის სავსე. და ამის შემ-
დეგ ბ. გამომცემელი ამბობს „ზოემის“ „დიდ მნიშ-
ნელობასედ საქართველოს პოეტიკურ ლიტერატურისა-
თვის!“ ამის შემდეგ ის ამ „ზოემსს“ თამარის დროს
აწიქს და უბნობს, რომ ამით დამწერმა თამარს „დაუმი-
ტვიცა თავისი განათლება!“ გესმისთ: რუსთველის
დროს თამარს მისთვის სელქმნილნი აღდუზიანით აკ-
ვირვებენ, უმტვიცებენ თავის „განათლებას!“ რადაც საე-
ჭვოა, ამ წიგნაკს თითქო არაფერი სცნია თამარის დროს
და კეთონის იმ დროს, როდესაც ჩვენი ლიტერატუ-
რა დაეცა და მხოლოდ უდღეო მიზანკებს-და წარმოშო-
ბავდა სოლმე. კვანებ წიგნში ამ სიტყვების სმარება: —
„სანოვანი (სიტყვიდან — СОНЪ), მეფე, ჰავა (მითამ

დღაღი ფარშეკანგია) და სხვ.—უნდა უჩვენებდეს, რომ თხზულება შემდეგ დროებს ეკუთვნის. მიუხედავად იმისა, რომ ამას ის, რომ ზოგა დაუდგენელად არის გამოცემული, რომ ისეც საცოდავ თხზულებაში მრავალი დამახინჯებული სიტყვებია, და წარმოდგენით რა მიმზიდველ საკითხავ წიგნს წარმოადგენს აღდუზიანია.

მაგრამ აღდუზიანის გამოცემული რა დავაზნასა ამ წიგნის დაუდგენელად გამოცემისათვის, როდესაც ის თავის საკუთარ თხზულებას—სიტყვის „ლექსიკონი“ გამოკვლევას—ამ გარეშე შედგომებით ჰგავს: „Вступление свое къ означенному труду С. Орбелиани начинается рассказомъ о судьбѣ постигшаго его труда“ (С. Орбелиани стр. 9); „европейскіе лексикографы, даже самый поздны слово лекси и лексиконъ признають за греческое... Но можно ли при этомъ обойти молчаніемъ и увлеченіе въ ихъ подражанію и грузинскихъ писателей“ (стр. 16); „Сопоставивъ бы время произведеніяхъ Борсовой кожи съ временемъ появленія греческаго лексикона онъ бы отказался бы...“ (стр. 16). „შდენი ბა!?, „не одное классическое“ (стр. 20); „лексиконъ языковъ славянскаго русскаго приложенный славянской азбукой“ (стр. 21); „подчеркнутые красною чернилою“ (стр. 27) და სხ. როგორ შეიძლება, ბატონო! მეცნიერული გამოკვლევა მეცნიერების გასასწავლად შესავსებლად დაწერილი და ღრმატიკული შედგომებით სავსე! იტყვიან ამ მეცნიერმა ქართველმა რუსული არ იცის და, თუ არ იცის, რატომ თავის ენაზედ არა სწერს, და თუ ქართულშია სიტყვა მცირეობს... აი რას იტყვიან.

წიგნების ფასი? პირველი წიგნი 68 კპრდისაგან შესდგება, მეორე 30-გან და პირველს აწერია ფასი 50 კპზ., მეორეს 25 კპზ. სტამბის მცოდნე პირებმა დამარწმუნეს, რომ ამ ფასების ნასყიდვად რომ დაეწერა წიგნებზედ, მაინც მოგებას ნახავდა გამოცემული. მაგრამ ეს არაფერი, რადგან, თუნდ სტამბის მცოდნეების ჰაზრი მართალი იყოს, მაინც ეს მხოლოდ იმას ამტკიცებს, რომ ქართველებსაც შეუძლიანთ მოგებით ვაჭრობა.—

გ. ბარბოი.

ახალი აგზები და შენიშვნები

თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორის მკვლელის, ი. ლავიევის საქმე ამ თვის თეგსმეტს რიცხვს გაიჩნა სამხედრო სამსახულო სასამართლოში. მკვლელს დამცველად ჰყავდა ბ. ტურკევიჩი. სასამართლომ ლავიევის ოცი წლის კატორგა გარდაუწყევითა. დაწერილებით საქმის გარჩევის ანგარიშს შემდეგ ნომერში დაგეგმავთ.

ცამეტს ამ თვეს მისმა მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობამ, საქართველოს ექსარხოსმა არხივის-კოპოსმა პავლემ თბილისის ქალაქის სამღვდელოებითურთ პანაშვილი გარდახდა გარდაცვალებულ სემინარიის რექტორს დეკანოზ ჩუდევკის. ამ დღეს სამღვდელოთა შორის მათისავე სურვილით სამასი მანეთი შეიკრიბა განსვენებულის საფლავზე ძეგლის დასადგმელად.

შუმიდესი სინოდის ობერ-პროკურორი პ. პ. პობედნოსცევი პატიგორსკში მობრძანებულია საქმიოდ.

ათს ივნისს მომხდარს სამეგრელოს სამღვდელოების შეკრებილებას ქ. შოთში ერთხმად უარი განუცხადებია ახალ-სენაკიდან შოთში სასულიერო სასწავლებლის გადატანაზე.

აქამომდე, როგორც მოგეხსენებათ, ყველა სასწავლო წიგნები და საჯლომღვანელოები ძველსავე სწავლა-განათლების მზრუნველს უნდა წარსდგენიყო, რომელიც განიხილავდა ხოლმე ამ წიგნებს, რჩევას იქონიებდა და თავისგან მოწონებულ წიგნებსა სახალხო განათლების მინისტრს უგზავნიდა დასამტკიცებლად. მხლა, გაზ. „საგვარის“ სიტყვით, მათ უდიდებულესობათ ხელმწიფე-იმპერატორს ეს უფლება ძველსავე მთავარ-მმართველ ღონდუკოვ-პორსაკოვისთვის მიუნიჭებიათ. ამის შემდეგ მან უნდა დაამტკიცოს ყველა ქართულსა და სომხურ ენაზე გამოცემული სახელ-მღვანელოები სწავლა-განათლების მზრუნველისაგან მოწონებული.

ამ წელში მთლიანად სასულიერო სასწავლებელში სწავლა დაუსრულებია ნა მოწაფეს. მათში სემინარიის პირველ კლასში შესვლის უფლება მიუღიათ 20 მოწაფეს. როგორც ხედავს მკითხველი ორმოცდათუთხმეტი შაგირდში მარტო ოცი გამხდარა ღირსი სემინარიის პირველ კლასში გადასვლისა და ოცდათუთხმეტი მოსწავლე კი დარჩენილა.

* *

ამ ცოტა ხანებში თბილისის სემინარიის კედლებზე სამაგალი შინაარსის ხელ-ნაწერ განცხადებებს ხედავდნენ ხოლმე გაკრულს. ამ განცხადებების წერას და გაკრას ახრალდნენ სემინარიის შაგირდებს. მხლა პოლიციამ დაიჭირა ერთი პირი, რომელიც ამ განცხადებებს სწერდა და აკრავდა სახლებზე და სვეტებზე და ვინ აღმოჩნდა, იცით? მართი გადამდგარი რუსის მაიორის ცოლი ბელგევიჩი...

* *

სამრევლო სკოლების გამრავლების საქმე თან-და-თან წინ მიდის და ჩქარავე განხორციელდება. იმის დაარსება საქართველოს ეგზარხოსის პავლეს მზრუნველობით და შუამდგომლობით წარსულის წლის დასასრულში დაიწყო. ამ ჟამად ოთხ ალაგას არის გამართული სამრევლო სკოლა: ტფილისში, წმ. მარიამის ეკლესიასთან, აელაბარში; ბოდბეში; მცხეთაში და ალექსანდრეს სიმეგრეში, იმიერ-კასპიის მხარეში. ამ სამრევლო სკოლებში ყმაწვილებს ცალკე საკუთრივ ამისთვის შედგენილ პროგრამით ასწავლიან. ბაზ. «Моск. Вѣд.»-ების სიტყვით, ამ ოთხის სკოლის გარდა, გარდაწყვეტილია კიდევ გაიმართოს სამრევლო სკოლები საქართველოს ეპარქიაში შემდეგ ადგილებში: ა) ახალ-ციხის მაზრაში, ყველა ეკლესიასთან, რადგანაც ამ მაზრაში უმეტესი ნაწილი მცხოვრებისა გამაჰმადიანებული ქართველები არიან; ბ) სოფელს პანკისში, სადაც ახალად გაქრისტიანებული ოსები სცხოვრებენ; გ) სოფელს: ქვემო-გაეაზსსა, შვარცლასა, ლიდ-ლილოსა, ახალ-სოფელსა, სართი-ქალასა, პოდალოსა, ბაკურციხესა, შინდისსა, შაშინასა, აკურსა, მაჩანაძისა, მატანახსა და სემიონიანთ-ხევში; დ) საინგილოში ყველა ეკლესიებთან, სადაც არ არის დაარსებული სამინისტრო და კავკასიაში ქრისტიანობის გამაგრებელ საზოგადოების სკოლები; და ე) რუსების სოფელ პრიუტსა და ძველ მანგლისში. ყველა ეს სამრევლო სკოლები იქაურთა

მცხოვრებლების ხარჯით იქნება, სად და რომელ სოფელშიაც სკოლას გამართავენ. სამოსწავლო რჩევამ დანიშნა ყველა ალაგები, სადაც სკოლები უნდა გაიმართოს და ამას გარდა გარდასწყვიტა, რომ სკოლის სადგურისა და სკოლისთვის საჭირო მასალების ხარჯის გარდა, ყმაწვილების მასწავლებლებზე დაჰხარჯოს არა უმეტესს 290—390 მანათამდე ყოველ წლივ, ამ ფულში არ უნდა ჩაითვალოს ამ თავითვე სკოლის მომართვის ხარჯი, რომელზედაც გარდაწყვეტილებისამებრ 100 მანათზე ნაკლები არ უნდა დაიხარჯოს. (ივერი-⁶).

* *

საზოგადოდ შენიშნულია ამ ბოლო დროს, რომ შაგირდები ერთი კლასიდან მეორეში ბლომად გადადიან, ასე რომ ორმოც-და-ათ შაგირდში ათი ანუ ამაზე ნაკლებიც რჩება გადუყვანილი. მეოთხე კლასში კი სხვა მოვლენას ვხედავთ; აქ სამოცში და ოთხმოც შაგირდში ღირსნი ხდებიან მარტო ათი და თუთხმეტი შაგირდი წინ წაწევისა. ჩვენ გვეგონა, რომ უწმიდესი სინოდის განკარგულება, რომლითაც სასწავლებლის სამართველოს უფლება მიეცა პირდაპირ სამართველოს შეხედულებით გაგზავნილი მოწაფეები სემინარიაში უეჭვმენიოდ მიეღოთ, მრავალ მოწაფეს ძვირად უჯდება ეს მშვენიერი განკარგულება და ძვირად უჯდება ზოგიერთი მშინაზა პირების წყალობით. ჩვენ ამ საგანზე შემდეგისათვის ერცლად მოვილაპარაკებთ.

* *

მისი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობა საქართველოს ექსარხოსი, არხივისკოპოსი პავლე თოთხმეტ ამ თვეს წაბრძანდა თბილისიდან საზაფხულოდ მარტყოფის მონასტერში, სადაც, როგორც ამბობენ, დარჩება თუთხმეტ აგვისტომდე.

* *

ჩვენ გვაცნობებენ, რომ თბილისის სამასწავლებლო ალექსანდროვის ინსტიტუტის მასწავლებელს ბ. ნ. იოსელიანს შეუდგენია ძველი და ახალი აღთქმის საღმრთო ისტორიის სახელმძღვანელო წიგნი, რომელიც მცირე ხანში გამოვა საბეჭდავიდამო.

* *

მხლა უფრო საიმედო ხმები ისმის შეირილიდამ ჰიათურამდის რკინის გზის გაყვანაზე.

დაზოგადება მათათათათის (პროპაგანდა).

მნათე არის ეკლესიის კრებულის დაბალი წევრი. იგი-სი ამ გვარი მოგადლობისა მებრ, ის ვალდებულია ღირსეული პატივსაცემით გაერობოდეს ყველა იმაზე უფროს ეკლესიის კრებულის წევრთა და მასთან ყოველის უარის-უთქმელად ემორჩილებოდეს თავის წინამძღვრის ყოველივე განკარგულებას ეკლესიის მსახურების შესახებ.

მნათე მოვალეა, რომ ეკლესიაში დაიცვას ყოველივე სიწმინდე, წესი და მუდამ მეცადინობდეს, რომ კეთილ-წესიერება სუფევდეს ეკლესიაში, სადაც მორწმუნენი ღვთის სავედრებლად მიდიან, მაგრამ ამავე დროს მორწმუნენი ეკლესიაში უნდა ხედავდნენ სიწმინდის, წესიერების და კეთილ მოწყობილობის მაგალითს, რომ ამა სისუფთავის მიმხედვარეთ თავიანთ სხელ-შიაც დაიცვან სიწმინდე და კეთილ-მოწყობილება.

ქერძობითად მნათე მოვალეა:

1) ეკლესიის შიგნით დაიცვას სისუფთავე და წესიერება, სანელობი: ა) ყოველი ღვთის მსახურების შემდეგ დაწმინდოს მთელი ეკლესია. ყოველივე მოხვეტილი მტკვარი შეატაროს და ჩაქვაროს ეკლესიის ზღუდის ბაღავერის შიგნით, რადგან მტკვარში შეიძლება მოქვეყნდეს ნაერთი პურის ნამცეცები, რომ-ლებიც არ უნდა იქმნენ დათელიდნი ეკლესიის გაღვაწში მოსიარულე პირების ავებით. ბ) შემდეგ წმიდა ტილოთი დიდის ყურადღებით გასწმინდოს ხატები და ეკლესიის ყველა კედლე-ბი. გ) ყოველი დიდი დღესასწაულის წინ და ყოველი თვის დამლევს ჩამოსწმინდოს ეკლესიის თაღებიდამ, კედლებიდამ და ხატებიდამ ყოველივე მტკვარი და აბლაბუდის ქსელები, რო-გორც ეს ნათქვამია ზემოთ. დ) საკურთხევლის იატაკის მო-რეცხა ანუ გაწმენდა სდევს მნათეზე, როგორც ეკლესიის მოსამსახურეზე და მასთან როგორც პირზე, რომელსაც მხო-ლოდ მას ერთს აქვს უფლება საკურთხეველში შესვლისა; ტაძრის, კარის-პქისა და საღაროს იატაკი შეიძლება მო-რეცხოს და გასწმინდოს სხვა პირებმაც, მაგრამ ამ დროს მათ ყურს უნდა უდგამდეს მნათე, რომელსაც მუდამ უნდა ჰქონ-დეს სახეში, რომ თუ დიდი გაცების სანლებში დაცულია ყო-ველივე სისუფთავე, მით უმეტეს დიდი სისუფთავე შეშენის უფლის სანდოს, სანდოს უფლისა უფალობასა და ყველა ქვეყნიურ მეფეთა მეფისასა.

2) მნათემ წმინდათ უნდა იქონიოს კანდლები, სასანთლე-ები, ქორვანდლები და ყველა რკინის სამკაულები, რომლებზე-დაც ხატების წინ ანთებენ სანთლებს. ამასთან მნათე მოვა-ლეა ყურადღება ჰქონდეს მიქცეული, რომ სანთლები წესიერად

იყვნენ ანთებული და იქით-აქით არ იყვნენ გადაწეული. გადმო-წეული, რომ ამით ცუდი შობეჭდილება არ მოხდეს მლოცვე-ლის გულში. სანთლის ნამწვავები მნათემ უნდა მოჰკრიბოს და შეინახოს დანიშნულს ადგილს და არას დროს ეს ნამწვავები არ უნდა იქნეს სასანთლეებზე თუმც ეკლესიაში პეგრი ხალხი იქნება და სანთლები ბლომათ იქმნებიან ანთებულნი და მასთან კიდევ მიაქვს მლოცველთ ასანთებად, მაშინ მნათემ ნახევ-რამდის დამწვარი სანთლები უნდა ჩამოიღოს და გააქროს, რომ მათ ადგილზე აანთონ ახლები. საზოგადოდ მნათე ვალ-დებულია ყური უგდოს, რომ სანთლები ანთებულნი იყვნენ სწორედ, რომ ისინი ანთებდნენ კარგად, რისთვისაც მან ნამ-წვავი თავი უნდა მოაცადოს სანთელს და გააქროს. გარდა ამისა მნათემ უნდა იცოდეს, თუ რომელ დღესასწაულებში და რა დროს უნდა ანთებულ იქმნენ ყველა სანთლები, მასთან უნდა იცოდეს, თუ საკურთხეველში და ადგილობით ხატების წინ როდის დანთებულ უნდა იქმნენ სანთლები.

3) ეკლესიის ჭურჭლები: ბლუდი, წყლის ასადულებე-ლი, ემლუგის ბლუდები, განსაზავებული, ემბაზი და სხვანი მნათემ უნდა იქონიოს წმინდათ და წესიერად. ყოველი ღვთის მსახურების შემდეგ უნდა დასწმინდოს ისინი კარგად, თავის ადგილზე შეინახოს და უნდა ზრუნავდეს, რომ არ გაუჟღავნდეს ისინი.

4) საცეცხლურნი უნდა იქონიოს ყოველთვის თავის ადგილ-ზე. ისინი ყოველთვის წმინდათ უნდა იყონ და ჯაჭვები მთელი და არ შეიძლება, რომ საცეცხლურის გაწვეტილი ჯაჭვი ერ-თი ერომანეთზე ძაფით იყოს მიბმული. თუმც ეკლესიაში არიან მკირფასი საცეცხლურები ვეცხლისა მოქვეყნილნი, მაშინ ისინი მნათემ უნდა შეინახოს დაეცეცილში. სამნათე-ოთახშიაც უნდა იყოს დაცული სისუფთავე და წესიერება.

5) მღვდელ-მოსამსახურეთა შესამოსელი: ფილონი, ოლარი, სტინარი (სამთავრო), სტინარი (სამღვდელთ) და სხვანი ყოველთვის დაეცეცილნი უნდა იყონ და ან ჩამოკიდებული თავის ადგილზე; ყოველი მღვდელ-მოქმედების წინ მნათე მოვალეა მოამზადოს ყველა შესამოსელი და ან ფილონი და ოლარი მიხედვისა მებრ დღესასწაულისა, დროისა და ეკლესიის მსახურებისა.

6) მნათე ყურადღებას უნდა აქცევდეს, რომ გარდასათა-რებლები საწიგნებზე, სტოლებზე და სხვა საგნებზე, რომლებ-ზედაც ისინი იმბარებიან, იყონ სწორეთ გადაფარებულნი, რომ მლოცველების გულში მოახდინონ კარგი შობეჭდილება და მასთან აღძრან მათში სიწმინდის სიყვარული. აგრეთვე სიწმინდე უნდა დაიცვას საკურთხევლის, სამსხვერპლოს, სამეფო კარების წინ და ეკლესიის შიგნით სიგარძეზე ხალიჩების დაგების დროს.

7) ეკლესიური წმიდა სამსახურის შედგომამდე, მნათე მოკლელა დარეკის წინ მიიღოს ღოცვა-კურთხევა წინამძღვრისაგან, წინ-და-წინ მოამზადოს ყოველივე, რაც საჭიროა ღვთის მსახურებისათვის, როგორც მაგალითად: ზეთი, ღვინო, პური, სეპისყვრები და სხვანი.

8) მნათე მოკლელა დარეკოს ზარები, რომლებს რეკა განსხვავებული უნდა იყოს ეკლესიური მსახურების და გვარად და სახელობა: უბრალო დღეებში მწუხრის დროს რეკავს მხოლოდ ერთი შუა ზარი; ცისკრისა და წირვის დროსაც ამავე ზარით. კვირას, დღესასწაულ დღეებში ყველა ღვთის მსახურების დროს რეკვს პირველად დიდი ზარით და მერე ყველათი. საუფლო დღეებში მრავალ უამიერობითი სიტყვის წარმოთქმის შემდეგ უნდა დარეკოს ყველა ზარებით. გარდა ამისა ეკლესიური წესის და საუფლო დღეების ტაბელისა მეტრ მნათემ ამ ნაჩვენებ დიდ დღესასწაულებში და სამეფო დღეებში მთელი დღე უნდა რეკოს ზარები. უდიდებულესობათა პირთა ზედა პანაშვილის გადართვის დროს, რეკა მოხდება სრულებით განსხვავებული და სახელობა: ყველა ზარს ერთად კი არ შემოკრავს, არამედ რიგ-რიგობით, ხან ერთს დაკრავს და ხან მეორეს ნელ-ნელა. ამ გვარ რეკას მნათე წინ-და-წინ უნდა იყოს მიჩვეული, როგორც ერთ უპირველეს სამსახურის მოვალეობას.

9) მთელი ეკლესიური მღვდელ-მოქმედების დროს მნათე მუდამ მღვდელ-მოქმედების აღმსრულებელს უნდა მიჩერებოდეს, რომ მოთხვნისათანავე აღასრულოს ყოველივე. ამასთანავე მნათე ისე უნდა შესცქეროდეს მღვდელს, როგორც მოსამსახურე თავის ბატონს.

10) ეკლესიის გარეშე, სამრევლოში სხვა-და-სხვა მღვდელ-მოქმედების აღსრულების დროსაც, როგორც ტაძარში, მნათე თავმდაბლობით უნდა ემსახურებოდეს წინამძღვარს, ანუ მის თანაშემწეს.

11) მონათეებზე, რომელნიც მსახურებენ საკათედრო და ქალაქის სხვა სობორობებში, ზემოთ აღნიშნულ მოვალეობათა გარდა სდევს კიდევ სხვა მოვალეობანიც, ე. ი. ისინი უნდა ეხმარებოდნენ მედავითნეებს კითხვაში და გალობაში და აგრეთვე მონაწილეობას უნდა იღებდნენ შესავალ-გასავლის წიგნების წარმოებაში და წერაში.

12) ბლაღოჩინების დარიგებათა 51 მეხლის ძალით მნათე მოვალეა წაიღ-წამოიღოს ქალაქდები, რომლებსაც ბლაღოჩინები ავზავიან მახლობელ ეკლესიების კრებულები-სადმი, სამმართველო ადგილებში, ფოსტებში, სასულიერო და სახორციელო მოსამსახურე პირთადმი, და ბოლოს

13) კეთილ-გონიერი მნათე მამაშვილურ სიყვარულს უნდა გრძნობდეს თავის წინამძღვრისადმი, როგორც ღვთის მოსამსახურისადმი. მასთან ის მოვალეა ამ თავის ზე-

მოთ აღნიშნულის სამსახურის გარდაც ემორჩილებოდეს წინამძღვარს და თავმდაბლობით აღასრულებდეს მის ბრძანებას და მასთან სთხოვდეს წინამძღვარს, რომ მის მაგიერ მან ილოცოს ზოლმე ღვთის საგურთხევლის წინაშე უსისხლო მსხვერპლის შესწირვის დროს.

საზოგადოდ მნათემ, როგორც მცირე წევრმა ყველა სიის კრებულისამ, თავის თავი უნდა აიმაღლოს კეთილი ცხოვრებით, მორჩილებით და თავის მოვალეობათს მტკიცე აღსრულებით.

შეჯიკრულებაანი.

ბლაღოჩინის მოვდლის მიხედვით მკვდლიძისაგან ჩვენ მივიღეთ 29 მანეთი მუთაისის სასულიერო სასწავლებლის წიგნთ-საცავის სასარგებლოდ. ეს ფულები შემოწირულია შემდეგ პირთაგან:

ბლალ. მღვდლის მიხედვით მკვდლიძისაგან 2 მან.

მღვდლის ბლექი ცხადებისაგან	1	—
— სიმონ ჯეულელისაგან	1	—
— გიორგი ლუტიძისაგან	1	—
— არისტოლ კიკვაძისაგან	—	20
— დიმიტრი ჩარკვიანისაგან	1	—
— რომანოზ ვარდოსანიძისაგან	1	—
— გიორგი მაჩიტაძისაგან	1	—
— მოსე კიკნაველიძისაგან	1	—
— ლეონტი გეორგიძისაგან	1	—
— დავით საცერაძისაგან	1	—
— იოსებ კარგარეთელისაგან	1	—
— ავაკემ თავაძისაგან	1	—
— ილარიონ ციკვაძისაგან	1	—
— მიხეილ მეზურიშვილისაგან	1	—
— ანტონ მეზურიშვილისაგან	1	—
— იაკობ ზოდჯავასაგან	1	—
— ალექსანდრე არდიშვილისაგან	1	—
— იუსტინ ბარბაქაძისაგან	1	—
მთავარ-დიაკონის ივანე ჩხელაძისაგან	—	70
— ჰორფირე ბურჯანაძისაგან	—	70
მედავითნის გიორგი ბოჩორიშვილისაგან	—	50
— ეფრემ მერკვილაძისაგან	—	50
— იპოლიტე გგედესიანისაგან	—	20
— დიმიტრი ჩიქვინიძისაგან	—	50

ბესარიონ კარანაპისაგან	50
სპირიდონ კელენდირიძისაგან	50
პავლე კელენდირიძისაგან	50
ისიდორე სანაშელიძისაგან	50
ნიკოლოზ შიშკარიანისაგან	50
დავით ზირაკაძისაგან	50
მელიტონ ებანოძისაგან	50
ირაკლი შორაშვილისაგან	50
ერმანოზ ჩარვანიანისაგან	50
ექვთიმე შვანიძისაგან	50
ლავარე სანიკიძისაგან	50
ბესარიონ შარვაშიძისაგან	50
მაქსიმე ჭეშაძისაგან	50
მნათე მაქსიმე ნატრიაშვილისაგან	20

სულ 29 მან.

ეს ფულები დანიშნულებისა მებრ გაგზავნილია ჩვენგან.

განცხადებანი.

ს ტ ა მ გ ა

მ. დ. ღამბაშიძისა ღ აზ. ე. ი. ხელაძისა.

სტამბა გაიხსნა მსწრაფლ-მბეჭდავი მაშინით და ყველა მოწყობილობით ქ. ქუთაისში 15 მაისს, 1886 წ. ძნაჟესკის და ნემეცის ქუჩაზე, საქალებო გიმნაზიის პირ-და-პირ, მამაჯანოვის და ამირალოვის სახლებში.

იღებს ყოველ გვარ საბეჭდავ საქმეებს სხვა-და-სხვა ენებზედ. შასი ყველა საბეჭდავზე ზომიერია. შეკვეთილი საქმეები დაბრუნდეს ღროზედ ჩაბარდებთ ყველას.

სამღვდელოებას ყოველ-გვარი საჭირო ბლანკების დაბეჭდვა და მოპოვება შეუძლია ზომიერ ფასად. მაღაქს გარეშე მცხოვრებთა შეუძლიათ მიმართონ ამ აღრესით: *Въ Кутаисѣ, въ типографію Гамбашидзе и Хеладзе ანუ Въ Квирилу, въ редакцію „Мѣмесі“ (Пастырѣ) и Въ Тифлисъ въ типографію Е. И. Хеладзе. въ собств. домѣ.*

რედაქტორი-გამომცემელი მღვ. დ. ღამბაშიძე.

ისუიდებიან მღვ. დავით ღამბაშიძისაგან გამოცემული წიგნები:

თბილისში: ბრიკუროვის წიგნის მაღაზიაში. ქუთაისში: მმ. შილაძეების წიგნის მაღაზიაში. ქვერილაში: პერიოდის ნათლის-მცემლის ეკლესიის საეკლესიო წიგნების საწყობაში და მ. ხონში: წერეთლის წიგნის მაღაზიაში.

სახელდობრ:

საქართველოს საეკლესიო ისტორია

ფასი უუდოთ—ცნრა შაური.

ქართული ლოგოგანი,

ფასი უუდოთ 30 კ. და უდით 45 კ.

მღვდელოთათვის საიდუმლოების შესრულების დროს საჭირო

სახელმძღვანელო წიგნი,

ფასი უდით ექვსი შაური.

ახალი სასულიერო კონსისტორიათა წესდებულება, ფასი მოკრი აბაზი.

ახალი კარაგალინი,

ფასი უდით ერთი მან.

ქვერილის საეკლესიო სანთლის საწყობაში ისუიდებიან აგრეთვე ყოველ-გვარი საღმრთო საეკლესიო წიგნები და წიგნები.

შინაარსი: ჩვენი ზარმაც ვაჟ-გატყბის ქალბატონების საყურადღებოდ. — მოთხრობა ქუთაისზე — სოხუმიდამ. — ლექსი. — აღდგომისა. — ახალი ამბები და შენიშვნები. — მნათეთა საყურადღებოდ. — შეწირულებანი — განცხადებანი.

Доз. цензурою Кутаисѣ, 19 Іюня, 1886 г.

მსწრაფლ-მბეჭდავი მღვ. დ. ღამბაშიძისა ღ ე. ი. ხელაძისა